

**Tinco Martinus Lycklama à Nijeholt, Voyage en Russie, au Caucase et en Perse exécuté pendant les années 1866, 1867 et 1868, t. I, Paris-Amsterdam, Arthus Bertrand, Libraire-Editeur/C. L. Van Langenhuisen, Libraire-Editeur 1872**

Rentré à Tiflis pour un séjour de plusieurs mois, je m'occupai d'y former une installation un peu définitive. Cependant je restai encore quelque temps à l'hôtel avant d'avoir pu trouver un logement mieux à ma convenance. Mais, afin de satisfaire mon goût de promenade et de parcourir à ma fantaisie les environs de la ville, dont la beauté est l'un de ses plus grands attraits, je me décidai à acheter un cheval et j'en trouvai un, marchant le pas de l'amble, qui me paraissait ne rien laisser à désirer; je n'eus qu'à m'applaudir de cette acquisition, malgré le prix assez élevé que je fus obligé d'y mettre. J'en achetai un second, un cheval de la Kabarde, pour mon excourrier Niccòla. Je l'appelle ainsi parce que, après avoir obtenu de moi de m'accompagner au Caucase, où il ne m'avait pas été inutile, au retour il me supplia de le garder à mon service comme domestique, et cela avec tant de démonstrations de dévouement que j'y consentis, n'ayant point encore reconnu les graves défauts qui me le firent renvoyer bientôt après. Le mois de septembre (345) entier se passa à visiter la ville de Tiflis et sa banlieue. (346)

თბილისში რამდენიმე თვით დასარჩენად დავბრუნდი და იქ დაბინავებაზე უნდა მეფიქრა. ჩემთვის უკეთესი საცხოვრებლის შერჩევამდე რამდენიმე ხანს კვლავ სასტუმროში დავრჩი. მაგრამ სეირნობის მიმართ ჩემი გემოვნების დასაკმაყოფილებლად და ჩემს ნებაზე ქალაქის შემოგარენის მოსავლელად, რომლის სილამაზე მისი ერთ-ერთი უდიდესი ღირსშესანიშნაობაა, ცხენის ყიდვა გადავწყვიტე და ვიპოვე ერთი თოხარიკი, რომელზე უკეთესს ვერც კი ვისურვებდი; მასში გადახდილი საკმაოდ მაღალი ფასის მიუხედავად, კმაყოფილი ვიყავი. მეორე, ყაზარდოული ცხენი, ჩემს ყოფილ კურიერს, ნიკოლას, ვუყიდე. მას ასე მოვიხსენიებ, რადგან იმის შემდეგ, რაც კავკასიაში ჩემი თანხლების საშუალება მიიღო, სადაც გამომადგა კიდეც, იქიდან დაბრუნებისთანავე შემეხვეწა, რომ მსახურად ამეყვანა და ისე ავლენდა ერთგულებას, რომ დავთანხმდი, რადგან ვერ დავინახე ის სერიოზული ხარვეზები, რომლებმაც მალე მისი დათხოვნა მაიძულა. მთელი სექტემბერი თბილისისა და მისი მიდამოების გაცნობაში გავიდა.

\*\*\*

La ville de Tiflis peut se diviser en cinq quartiers principaux, deux sur la rive gauche du Kour, le quartier Avlabar, d'une physionomie surtout géorgienne, et, à la suite, la colonie allemande, formant à elle seule un quartier à part. Cette colonie se compose d'une double rangée de petites maisons avec jardins, bordant la route qui mène au parc public, le bois de Boulogne de Tiflis, derrière lequel on rencontre le champ de courses, souvent animé par les exercices du sport russe et géorgien. La partie occupée par la colonie allemande est la plus humide de la ville; aussi est-elle fort sujette aux fièvres, et son séjour ne saurait convenir aux nouveaux arrivants. Les trois autres quartiers sont situés sur la rive droite. Le premier, à la fois tatar, arménien et géorgien, s'étend depuis le Kour jusqu'à la place d'Érivan. On y voit les mosquées tatares et, à côté, l'église dont on a fait la cathédrale russe comme sceau de la prise de possession (351), le bazar, un caravanseraï persan; c'est là aussi que se trouvent les bains d'eaux chaudes qui ont donné leur nom à la ville. Puis vient le quartier Salalak, presque entièrement russe, contenant les principales habitations particulières, maisons et hôtels; il y a même un palais, celui du prince héritier des derniers rois de Géorgie. C'est là qu'habitent le consul de Perse et celui de France. On n'y voit que de rares commerçants. Le troisième et dernier quartier comprend la place d'Érivan et

le boulevard Galavinsky-Prospect, où s'élève le palais du gouverneur général. C'est principalement sur cette place et le long de ce boulevard que se sont installés les marchands français, allemands, italiens, etc., assez nombreux à Tiflis. (352)

ქალაქი თბილისი შეიძლება ხუთ მთავარ უბნად დაიყოს; ორი მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს: ეს ძირითადად ქართული იერსახის ავლაზრის უბანი და შემდეგ, გერმანული კოლონიაა, რომელიც თვითონ ქმნის ცალკე უბანს. ეს კოლონია შედგება პატარა ბალებით გარშემორტყმული სახლების ორი რიგისაგან და ესაზღვრება თბილისის ელისეს მინდვრების – საზოგადოებრივი პარკისკენ<sup>1</sup> მიმავალ გზას, რომლის უკან იპოდრომი მდებარეობს, რომელსაც ხშირად აცოცხლებს რუსებისა და ქართველების სპორტული შეჯიბრებები. გერმანული კოლონია<sup>2</sup> ქალაქის ყველაზე ნესტიან ადგილზე მდებარეობს; ამის გამო იქ ხშირია ცხელება, რაც შეუფერებელია ახალი ჩამოსულებისთვის. დანარჩენი სამი უბანი მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. პირველი ერთდროულად თათრების, სომხებისა და ქართველების უბანი, მტკვრიდან ერივნის<sup>3</sup> მოედნამდე ვრცელდება. იქ ვხედავთ თათრულ მეჩეთებს, მათ გვერდით კი ეკლესიას, რომელიც რუსებმა თავისი ბატონობის ნიშნად რუსულ ტაძრად აქციეს, ბაზარს და სპარსულ ქარვასლას; იქვე არის ცხელი წყლის აბანოები, რომლებმაც სახელი მისცეს ამ ქალაქს. შემდეგ მოდის სოლოლაკის თითქმის მთლიანად რუსული უბანი, სადაც განლაგებულია მთავარი კერძო საცხოვრებლები, სახლები და სასტუმროები; იქ არის საქართველოს უკანასკნელი მეფეების მემკვიდრე ბატონიშვილის სასახლე<sup>4</sup>, იქ ცხოვრობენ სპარსეთისა და საფრანგეთის კონსულებიც, მაგრამ იქ იშვიათად ნახავ კომერსანტებს. მესამე და უკანასკნელი უბანი მოიცავს ერივნის მოედანს და გოლოვინის პროსპექტს<sup>5</sup>, სადაც გენერალ-გუბერნატორის სასახლე დგას. ძირითადად სწორედ ამ მოედანზე და ბულვარის გასწვრივ დასახლდნენ ფრანგი, გერმანელი, იტალიელი და სხვა ვაჭრებიც, რომლებიც თბილისში მრავლად არიან.

<sup>1</sup> ლიკლამა ა ნიჟეოლტი „მუშთაიდის“ ბაღს გულისხმობს.

„აჟა მირ ფათაჰი იყო თავრიზის მოჯთაჰედი (შიიტი კანონმცოდნე, მაღალი რანგის სასულიერო პირი) 1828 წელს რუსეთ-ირანის მეორე ომის დროს ის დაეხმარა რუსებს თავრიზის დამორჩილებაში, რის შემდეგაც თბილისში გადმოსახლდა და რუსეთის ხელისუფლებისგან საჩუქრად მიიღო მიწის დიდი ნაკვეთი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, იმდროინდელი ქალაქის გარეთ. ნაბოძებ მიწაზე მან გააშენა ბაღი, რომელიც 1853 წელს ხაზინის საკუთრებაში გადავიდა და საზოგადოებრივი გახდა. XIX საუკუნის მანძილზე ეს ბაღი თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი და გასართობი ადგილი იყო. ის დღესაც არსებობს და ხალხში ცნობილია „მუშთაიდის“ (დამახინჯებული მოჯთაჰედი) სახელწოდებით. 1853 წლიდან ბაღი სახაზინო საკუთრება გახდა. აქ სისტემატურად ეწყობოდა სახალხო სეირნობები, გამოფენები, სპექტაკლები. (საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბილისი, „არტანუჯი: 2016, 45).

<sup>2</sup> ლიკლამა ა ნიჟეოლტი გულისხმობს გერმანულ კოლონია „ახალ ტფილისს“, რომელიც დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირსა და კუკიაზე მდებარეობდა.

<sup>3</sup> ყველა ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაური „ერივანსკის“ მოედნის ნაცვლად წერს „ერივნის“ მოედანს. სავარაუდოა, რომ მათ ან არ იცოდნენ მოედნისთვის ამ სახელწოდების მინიჭების მიზეზი, ან ის სომხეთის დედაქალაქის სახელობის მოედანი ეგონათ.

<sup>4</sup> ლიკლამა ა ნიჟეოლტი შეიძლება გულისხმობს ერეკლე II-ს შვილიშვილის, ირანს გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟს, ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის (1827-1882), რადგან იმ დროს თბილისში და საერთოდ საქართველოში ბატონიშვილებიდან მხოლოდ ის ცხოვრობდა. <https://nobility.pro/ge/statia/31-bagrati-on-gruzinski-irakli-aleksandres-dze.html>

<sup>5</sup> XIX საუკუნის 1840-იანი წლებიდან და 1918 წლამდე გოლოვინის პროსპექტი ეწოდებოდა თბილისის მთავარ ქუჩას, დღევანდელ რუსთაველის პროსპექტს.

\*\*\*

Parcourons d'abord le vieux Tiflis. Sans m'astreindre à aucun ordre chronologique, je vais commencer cette revue par l'ancien bazar. Il est placé sur la rive droite du Kour, en regard de la citadelle de Météki, au carrefour formé par la rue des Arméniens, qui vient du quartier européen, la rue des Bains, qui conduit à la porte d'Érivan, et l'entrée du pont, le principal des trois jetés sur le fleuve, qui fait communiquer le vieux Tiflis avec le quartier de l'Avlabar et la colonie allemande. De nombreuses ruelles aboutissent également à cette petite place dépourvue de régularité où le bazar, le Maïdan, se développe entouré de sombres boutiques de diverses grandeurs, le plus grand nombre ressemblant à de véritables trous, et remplies de marchandises et de produits de l'Orient. C'est ici le centre des affaires, l'animation, la vie de la cité. Les marchands dans leurs boutiques, dans les passages étroits qui sillonnent le bazar, en plein air dans les endroits laissés vides et dans les rues, étalent, offrent leurs marchandises. Ce sont des ouvriers de tout métier, tailleurs, brodeurs, armuriers, fabricants de curiosités, etc., qui travaillent devant vous, les uns debout, les autres assis à l'orientale, les jambes croisées. Tous les fruits, tous les comestibles, toutes les victuailles du pays sont entassés là. Et partout une foule des plus (353) singulières et des plus bariolées, allant et venant; les uns, en gens affairés, pressent le pas, les autres marchent posément en simples flâneurs, et d'autres gravement comme des personnages d'importance. Les populations les plus diverses sont représentées dans cette foule qui, par ses types et les couleurs si variées de ses vêtements, produit à l'œil étonné l'effet d'un kaléidoscope. Géorgiens, Mingréliens, Persans, Tatars, Cabardiens, Lesghiens, Kurdes s'y coudoient avec les soldats cosaques et russes. Des femmes de toute nationalité, voilées ou non voilées, y promènent également leurs costumes si pittoresques. Dans ce mélange de races, d'acheteurs et de vendeurs, qui forme une foire perpétuelle, c'est un bruit, un pêle-mêle, un tohu-bohu dont on ne saurait se faire une idée. (354)

ჯერ ძველი თბილისი მოვიაროთ. არ შემოვიფარგლები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და ამ მიმოხილვას ძველი ბაზრიდან დავიწყებ. ის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მეტეხის ციხესიმაგრის პირდაპირ, სომხების ქუჩით შექმნილ გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც ევროპული უბნიდან გამოდის, ახლოს ქუჩით ერივნის კარისკენ და მტკვარზე გადებული სამიდან იმ ყველაზე მნიშვნელოვან ხიდთან მიდის, რომელიც ძველ თბილისს ავლაზრის უბანთან და გერმანულ კოლონიასთან აკავშირებს. ბევრი პატარა ქუჩაც ამ პატარა უსწორმასწორო მოედანთან მიდის, სადაც ბაზარი – *მაიდანი (le Maïdan)*, გარშემორტყმულია სხვადასხვა ზომის ბნელი დუქნებით, რომელთა უდიდესი ნაწილი ხვრელებს ჰგავს და აღმოსავლეთის საქონლითა და ნაწარმითაა სავსე. სწორედ აქ არის ქალაქის საქმიანი და ხმაურიანი ცხოვრების ცენტრი. ვაჭრები თავიანთ საქონელს დუქნებში, ვიწრო გასასვლელებში, რომლებიც ბაზარს სერავენ, სუფთა ჰაერზე თავისუფალ ადგილებზე და ქუჩებში სთავაზობენ. ესენი არიან ყველა პროფესიის ხელოსნები, თერძები, მქარგავები, მეიარაღეები, საოცრებათა ოსტატები და სხვ., რომლებიც თქვენ წინ მუშაობენ, ერთნი ფეხზე დგანან, სხვები აღმოსავლურ ყაიდაზე ფეხმორთხმულად სხედან. ყოველგვარი ხილი, საკვები, ქვეყნის მთელი სურსათი აქ არის თავმოყრილი. ყველგან მეტად თავისებური და ჭრელი ბრბო მოძრაობს – ერთნი საქმიანი ხალხის აჩქარებული ნაბიჯით, სხვები უსაქმურებივით ნელა და ზანტად მიდი-მოდიან, ზოგნი მნიშვნელოვანი პერსონებივით დარბაისლურად დადიან. ამ ბრბოში შეხვდები ყველაზე უფრო განსხვავებულ ხალხებს, რომლებიც თავიანთი იერითა და სამოსის მრავალფეროვნებით გაოცებულ მზერას კალიედოსკოპის ეფექტს სთავაზობენ. ქართველები, მეგრელები, სპარსელები, თათრები, ყაზარდოელები, ლეკები თუ ქურთები კაზაკ და რუს ჯარისკაცებში ირევიან. სწორედ იქ დადის თავის ასე თვალწარმტაც სამოსში

გამოწყობილი ყველა ეროვნების ვუალში გახვეული თუ სახე დაუფარავი ქალი. სხვადასხვა ერის, მყიდველისა და გამყიდველის ამ ნარევში, რომელიც ქმნის ამ ბაზრობას, ისეთი ხმაური, უწყსრილობა და აურზაურია, როგორც წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

\*\*\*

De la place d'Érivan part le boulevard Galavinsky, lequel se prolonge jusqu'à la porte de Mingrélie. Ce boulevard forme une très-belle promenade plantée d'arbres et bordée, sur une assez grande longueur, d'hôtels isolés par des jardins, mais aussi par des groupes de maisons dont le bas est livré au commerce. Il en est de même de la place et de quelques rues qui y aboutissent, où l'on voit aussi, comme sur le boulevard, de nombreuses boutiques et même plusieurs grands magasins tenus par des Européens, Russes, Français, Allemands, Italiens et Grecs. Quelques-uns sont très-abondamment fournis et décorés avec tout le luxe de nos grandes villes. Il y a à Tiflis une colonie française qui y fait avec succès le commerce des articles de Paris. Déjà, en 1858, l'ensemble de cette colonie dépassait cent cinquante personnes. Ce sont surtout des marchands de soieries, des bijoutiers, des coiffeurs, des couturières, mais principalement des modistes; aussi les dames russes trouvent elles, à Tiflis même, tous les moyens de satisfaire leur goût pour les modes françaises, qui se répand aussi de jour en jour davantage chez les dames géorgiennes et arméniennes. Parmi les plus grands magasins de cette ville nouvelle, je ne citerai que ceux de MM. Delsolmes, marchands de nouveautés, de M. Glaser, marchand de quincaillerie de luxe, un excellent Wurtembergeois, qui me rendit mille petits services, et la grande librairie allemande où je trouvai à acheter l'édition complète en dix volumes des voyages de Chardin, que je lisais avec un grand charme dans ce pays qu'il a si bien décrit et dont il me faisait revivre l'existence nationale disparue. Il existe également des magasins de musique fort bien (390) assortis en pianos, que l'on loue comme en Europe, et je fus heureux de pouvoir me donner cette distraction, plus précieuse encore dans un séjour aussi lointain et où les plaisirs n'abondent pas. (391)

ერივნის მოედნიდან იწყება გოლოვინის პროსპექტი, რომელიც სამეგრელოს კარამდე ვრცელდება. ეს ბულვარი თავისი ხეივანით მეტად ლამაზი სასეირნო ადგილია და მას ორივე მხარეს, საკმაოდ დიდ მანძილზე ბაღებით შემოსაზღვრული სასტუმროები და სახლების ჯგუფები ესაზღვრება, რომელთა ქვედა სართული ვაჭრობას დაეთმო. იგივეა მოედანზე და მისკენ მიმავალ ზოგიერთ ქუჩაზე, სადაც ისევე, როგორც ბულვარზე, უამრავ, მათ შორის რამდენიმე დიდ მაღაზიასაც კი ნახავ, რომლებიც ევროპელებს, რუსებს, ფრანგებს, გერმანელებს, იტალიელებსა და ბერძნებს ეკუთვნით. ზოგიერთი მათგანი შესანიშნავადაა მომარაგებული და მორთულია ჩვენი დიდი ქალაქების მთელი ფუფუნებით. თბილისში არის ფრანგული კოლონია, რომელიც წარმატებით ვაჭრობს პარიზული საქონლით. 1858 წელს ამ კოლონიაში 150 ადამიანზე მეტი იყო. ესენი ძირითადად აზრეშუმით მოვაჭრეები, იუველირები, პარიკმახერები და მკერავები, მაგრამ ძირითადად *მოდისტკებო*, არიან; რუსი ქალბატონები თბილისშიც პოულობენ იმ ყოველივეს, რაც მათ გემოვნებას დააკმაყოფილებს ფრანგული მოდისადმი, რომელიც ყოველდღიურად იკიდებს ფეხს ქართველ და სომეხ ქალბატონებს შორის. ამ ახალი ქალაქის ყველაზე დიდ მაღაზიებს შორის დავასახელებ მხოლოდ დელსოლმების მოდური საქონლის მაღაზიას, ძვირფასი კავეულის მაღაზიას, რომელიც ეკუთვნის იმ შესანიშნავ ვიურტემბერგელ ბატონ გლეზერს, რომელმაც მე ათასი პატარა სამსახური გამიწია, აგრეთვე წიგნების დიდ გერმანულ მაღაზიას, სადაც აღმოვაჩინე

---

<sup>6</sup> მოდისტკა – ქალების ქუდების, აგრეთვე ტანსაცმლისა და თეთრეულის მკერავი ქალი.

შარდენის მოგზაურობის სრული ატომიანი გამოცემა<sup>7</sup> და რომელიც დიდი სიამოვნებით წავიკითხე იმ ქვეყანაში, რომელიც მან ასე კარგად აღწერა. არის მუსიკალური მაღაზიებიც, სადაც პიანინოს მეტად კარგი არჩევანია და რომლებსაც ისე, როგორც ევროპაში, აქირავებენ და ბედნიერი ვიყავი, რომ საკუთარი თავისთვის ამ გართობის მიცემის საშუალება მქონდა, რაც მით უფრო ძვირფასი იყო ასე შორეულ მხარეში, სადაც ბევრი სიამოვნება არ გაქვს.

\*\*\*

L'édifice le plus considérable du boulevard Galavinsky est naturellement le palais du chef du gouvernement. Tiflis est le centre de toutes les administrations militaires, civiles et judiciaires, et c'est là que réside le commandant général qui gouverne, avec une autorité presque sans bornes, cette agglomération de près de cinq millions d'hommes répandus sur les deux côtés du Caucase. En 1865, ces hautes fonctions étaient occupées, comme elles le sont encore, par un frère de l'empereur Alexandre, véritable vice-roi qui, sous le titre de lieutenant de l'Empereur, tient une cour pour soutenir le prestige de la Russie, non-seulement aux yeux de ces populations, aujourd'hui pleinement soumises, mais surtout auprès des peuples voisins, ceux de la Turquie, de la Perse et de toutes les côtes de la Caspienne. Le grandduc Michel-Nicolaïewitch, qui commande à Tiflis, né en 1832, est le troisième frère d'Alexandre II. Il a épousé la princesse Cécile-Auguste, fille du feu grand-duc de Bade, Charles-Léopold, et sœur du grand-duc de Bade actuellement régnant. Cinq enfants étaient déjà issus de ce mariage en 1866, et les deux derniers sont nés au Caucase même. Lors de mon arrivée, je trouvai la cour en grand deuil, et, par conséquent, toutes les réceptions étaient suspendues; le 6 juillet précédent, la grande duchesse avait, en effet, perdu sa mère, la princesse Sophie-Wilhelmine, fille de Gustave-Adolphe IV, roi de Suède, et grande-duchesse douairière de Bade (391).

გოლოვინის ბულვარის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შენობა, რა თქმა უნდა, მთავრობის მეთაურის სასახლეა<sup>8</sup>. თბილისი მთელი სამხედრო, სამოქალაქო და სასამართლო ადმინისტრაციის ცენტრია და სწორედ აქ არის გენერალ-გუბერნატორის რეზიდენცია; მას თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლება აქვს ამ აგლომერაციის ხუთ მილიონ ადამიანზე, რომელიც კავკასიონის ორივე მხარეს ვრცელდება. 1865 წელს ეს მაღალი თანამდებობა ეჭირა და ახლაც უჭირავს იმპერატორ ალექსანდრეს ძმას, ჭეშმარიტ მეფისნაცვალს, რომელსაც რუსეთის პრესტიჟის შესანარჩუნებლად ჰყავს თავისი კარი, რომელიც არა მხოლოდ სრულიად დამორჩილებული ხალხების, არამედ უპირველეს ყოვლისა მეზობელი თურქების, სპარსელებისა და კასპიისპირეთში მცხოვრებთა დასანახადაა. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლაევიჩი, რომელიც განაგებს თბილისს, დაბადებულია 1832 წელს და ალექსანდრე II-ს მესამე ძმაა. იგი დაქორწინებულია პრინცესა სესილია-ავგუსტაზე<sup>9</sup> – ბადენის განსვენებული

<sup>7</sup> ფრანგმა ორიენტალისტმა, ლუი-მატიე ლანგლემ ჟან შარდენის „მოგზაურობას“ ვრცელი კომენტარები დაურთო და ეს თხზულება 1811 წელს ათ ტომად გამოსცა პარიზში.

<sup>8</sup> თბილისში 1845-1847 წლებში სემიონოვის პროექტით აშენდა საქართველოს მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, სასახლე. ეს იყო რუსული კლასიციზტური სტილის შენობა, ფრონტონით დასრულებული სვეტებიანი თეთრი ფერის მთავარი ფასადით, გამოდიოდა გოლოვინის პროსპექტზე. ამ სასახლეს XIX საუკუნის 1860-იან წლებში არქიტექტორ ო. სიმონსონის პროექტის მიხედვით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. ეს ნაგებობა 1865-1867 წლებში საფუძვლიანად გადაკეთდა. ადრინდელი ნაგებობის კლასიციზტური ფასადი რენესანსულმა შეცვალა. ორსართულიანი შენობის რენესანსული სტილის თაღოვანი ფასადი პროსპექტზე გამოდის, მის წინ გაზონი იყო მოწყობილი (ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917, თბილისი, 1963, II, 35). დღეს ის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეა.

<sup>9</sup> დიდ მთავარ მიხეილთან შეუღლების შემდეგ ბადენის პრინცესა სესილია-ავგუსტას, ტრადიციის თანახმად, რუსული სახელი მიანიჭეს და მას ოლგა ფიოდოროვნა უწოდეს.

დიდი ჰერცოგის, შარლ-ლეოპოლდის<sup>10</sup> ქალიშვილზე და ბადენის ამჟამინდელი დიდი ჰერცოგის<sup>11</sup> დაზე. 1866 წელს მათ ხუთი შვილი ჰყავდათ, მათგან ორი კავკასიაში დაიბადა<sup>12</sup>. ჩემი ჩამოსვლის დროს ეს კარი ძლიერ გლოვობდა, რადგან 6 ივლისს გარდაიცვალა დიდი მთავრის მეუღლის დედა – სოფი-ვილჰელმინა, შვედეთის მეფის, გუსტავ IV ადოლფის<sup>13</sup> ქალიშვილი და ბადენის დიდი ჰერცოგის ქვრივი. ამიტომ ყველა მიღება შეჩერებული იყო.

\*\*\*

La population native de Tiflis (j'emploie ce mot pour désigner tout ce qui n'est pas européen) se compose, en majeure partie, de deux éléments principaux : l'élément géorgien et l'élément arménien. Occupons-nous d'abord des représentants du premier de ces éléments. (415)

თბილისის მკვიდრი მოსახლეობა (ამ სიტყვას ვხმარობ იმ ყოველივეს აღსანიშნავად, რაც არ არის ევროპული – L. a N.) ძირითადად ორი მთავარი, ქართული და სომხური, ელემენტისგან შედგება. ჯერ პირველი მათგანი წარმოვადგინოთ.

\*\*\*

Ce sont ceux qu'on désignait au sud du Caucase, sous l'appellation générale de Géorgiens ou Khartvéliens. Ils habitaient cet ancien royaume, connu sous le nom commun de Géorgie ou Khartli, qui, par le fait des partages de famille ou des dissensions civiles, s'était divisé en plusieurs États ou provinces dont les noms subsistent la Cartalinie, la Kahétie, l'Imérète, la Mingrélie, le Gouriel. Quoique ayant un fonds commun de ressemblance, qui indique une même origine, les habitants qui portent aujourd'hui le nom de ces diverses contrées offrent cependant certaines nuances de type, de costumes, de mœurs, qui permettent de les distinguer quand on a pratiqué pendant quelque temps la population si mêlée qui habite ou fréquente Tiflis. (415)

ეს ისინი არიან, ვისაც სამხრეთ კავკასიაში გეორგიელებს (Géorgiens) ანუ ქართველებს (Khartvéliens) საერთო სახელით მოიხსენიებდნენ. ისინი სახლობდნენ ამ ძველ სამეფოში, რომელიც ცნობილია როგორც საქართველო ანუ ქართლი (Géorgie ou Khartli), რომელიც ოჯახური განხეთქილების თუ სამოქალაქო არეულობების გამო მრავალ სამთავროდ თუ პროვინციად დაიყო და რომელთა სახელწოდებები არის ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და გურია. ზოგადი მსგავსების მიუხედავად, რაც მათ ერთსა და იმავე წარმოშობაზე მიუთითებს, ამ სხვადასხვა მხარის მოსახლეობის ერთმანეთისგან განსხვავება ტიპაჟის, სამოსისა და ადათ-წესების გარკვეული ნიუანსების მიხედვით შეიძლება, მით უმეტეს, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში აკვირდები თბილისის ასე შერეულ მოსახლეობას, რომელიც იქ ცხოვრობს ან ხშირად ჩადის.

\*\*\*

Les Géorgiens propres, les Khartvels, conservent cette beauté qui a fait la réputation de leur race. Ils n'ont rien perdu non plus de ce caractère chevaleresque et de cet esprit belliqueux qui les signalaient autrefois. Peu laborieux, même indolents, ils sont tout feu pour les plaisirs et n'ont rien fait pour se guérir de ce penchant à (415) l'ivrognerie que les voyageurs de toutes les époques leur reprochent

<sup>10</sup> ლეოპოლდი (1790-1852) – ბადენის დიდი ჰერცოგი 1830-1852 წლებში.

<sup>11</sup> ფრიდრიხ ვილჰელმ ლუდვიგი (1826-1907) – თავისი უფროსი ძმის, ლუდვიგის რეგენტი 1852-1856 წლებში, ბადენის დიდი ჰერცოგი 1856-1907 წლებში.

<sup>12</sup> დიდი მთავრის, მიხეილის სამი უმცროსი ვაჟი საქართველოში დაიბადა: დიდი მთავრები ალექსანდრე (სანდრო) 1866 წელს და ალექსეი 1875 წელს თბილისში, დიდი მთავარი სერგეი 1869 წელს ბორჯომში, დაიბადნენ.

<sup>13</sup> გუსტავ IV ადოლფი (1778-1837) – შვედეთის მეფე 1792-1809 წლებში.

comme leur seul vice. Ce peuple réalise presque dans toute sa pureté le type caucasien: traits réguliers, regard expressif, chevelure abondante, beaucoup d'aisance dans le port et un air inné de distinction; on les dirait tous nobles, et c'est, en effet, leur commune prétention. Généreux, même prodigues, passionnés pour le luxe et la représentation, les riches habits couverts de broderies, les armes de prix et surtout pour les chevaux qu'ils choisissent magnifiques, ne regardant pas au prix, les Géorgiens se ruinent galamment et sans paraître s'en soucier, à la façon des grands seigneurs de l'ancien régime. La noblesse, en réalité fort nombreuse, jouit d'un grand prestige parmi ce peuple essentiellement militaire; il existe encore à Tiflis et dans la Géorgie de très-grandes familles qui, comme les Orbeliano, dont j'ai parlé, soutiennent dignement leur nom et continuent grandement leur passé. (416)

საკუთრივ ქართველები (les Khartvels) ინარჩუნებენ იმ სილამაზეს, რომელმაც სახელი გაუთქვა მათ მოდემას (race). მათ არც ის რაინდული ხასიათი და მეზრძოლი სული დაუკარგავთ, რომელიც ძველად ახასიათებდათ. ნაკლებად მშრომელები, ზარმაცებიც კი, ისინი სიამოვნების მოყვარულები არიან და არც არაფერს აკეთებენ ლოთობისაგან განსაკურნად, რასაც მათ ერთადერთ მანკიერებად მიიჩნევს ყველა დროის მოგზაური. ამ ხალხში თითქმის ხელუხლებლად შენარჩუნდა კავკასიური ტიპი: სწორი ნაკვთები, გამომხატველი მზერა, ხშირი თმა, მოქნილი მიხვრა-მოხვრა და თანდაყოლილი გამორჩეული იერი; ყოველ მათგანზე იტყობი, რომ კეთილშობილია და სინამდვილეშიც, ეს არის მათი საერთო მოთხოვნილება. გულუხვები, მფლანგველებიც კი, ფუფუნებისა და თავის წარმოჩენის, მდიდრული მოქარგული სამოსის, ძვირფასი იარაღის, განსაკუთრებით კი ცხენების მოყვარულები, რომლებსაც შესანიშნავად ირჩევენ ფასის მიუხედავად, ქართველები ძველი რეჟიმის დროინდელი<sup>14</sup> დიდი სენიორების მსგავსად ისე გალანტურად კოტრდებიან, თითქოს ეს არც კი ადარდებთ. თავადაზნაურობა მართლაც მრავალრიცხოვანია და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ამ არსებითად სამხედრო ხალხს შორის; თბილისსა და საქართველოში კვლავ არიან ისეთი დიდგვაროვანი ოჯახები, როგორც ორბელიანებისა და რომლებზეც ვისაუბრე; ისინი ღირსეულად ატარებენ თავის სახელს და ღირსეულად აგრძელებენ წარსულს.

\*\*\*

La beauté des Géorgiennes est devenue proverbiale. Cependant il ne faut pas se figurer qu'elles soient toutes uniformément belles, ni surtout qu'elles le restent longtemps. Dans tout son éclat de quinze à vingt ans, leur beauté décline rapidement de vingt à vingt-cinq, et elles se trouvent vieilles de bonne heure, à un âge où nos femmes d'Europe peuvent passer pour des femmes encore jeunes. Mais, parmi les Géorgiennes, celles qui sont belles sont très-belles, et leur proportion, dans l'ensemble de la population féminine, dépasse de beaucoup celle qu'on rencontre dans les autres pays. (416)

ქართველი ქალების სილამაზე საყოველთაოდაა ცნობილი. ამასობაში, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ერთნაირად ლამაზია, განსაკუთრებით კი ის, რომ ასეთებად დიდხანს რჩებიან. მათი სილამაზე თხუთმეტიდან ოც წლამდე ბრწყინავს, ოცდახუთი წლისთვის კი სწრაფად მცირდება; ისინი ადრე, იმ ასაკში ბერდებიან, როდესაც ჩვენი ევროპელი ქალები კვლავ ახალგაზრდებევით არიან. მაგრამ ქართველ ქალებს შორის ვინც ლამაზია, მართლა ძალიან ლამაზია და მათი წილი, ქალთა საერთო მოსახლეობაში, ბევრად აღემატება სხვა ქვეყნებში არსებულ ვითარებას.

---

<sup>14</sup> ლიკლამა ა ნიჟეოლტი ძველ რეჟიმში საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინა, 1789 წლამდე პერიოდის ფრანგ დიდგვაროვანთა ცხოვრების წესს გულისხმობს.

\*\*\*

Ce qui fait valoir et encadre admirablement la beauté des femmes de la Géorgie, c'est leur costume, que la plupart d'entre elles portent encore d'une grande richesse. J'en ai déjà fait la remarque, à propos d'un portrait de reine peint sur les murs de la cathédrale de Mtskheta, ce costume paraît s'être conservé, sans altération sensible, depuis les temps anciens jusqu'à ce jour, et leur donne l'air d'autant de reines du moyen-âge, telles qu'on les voit dans les vieux tableaux et les miniatures sur vélin des manuscrits. Je vais essayer d'en donner une description à l'intention de mes lectrices, si je suis assez heureux pour en avoir. (416-417)

ის, რაც კარგად აჩვენებს და შესანიშნავად უსვამს ხაზს ქართველი ქალის სილამაზეს, ეს მათი სამოსია, რომელიც მათ უმრავლესობას მეტად მდიდრული აქვს. მე უკვე შევნიშნე მცხეთის საკათედრო ტაძრის კედლებზე დედოფლის ფრესკის<sup>15</sup> შესახებ და როგორც ჩანს, ეს სამოსი უძველესი დროიდან დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე შემორჩა; ქალებს ის შუა საუკუნეების დედოფლების იერს სძენს, ისეთს, როგორსაც ძველ სურათებსა და ხელნაწერი პერგამენტების მინიატიურებზე ნახავ. ვეცდები ეს აღვწერო ჩემი მკითხველი ქალბატონებისთვის, თუკი, ჩემდა საბედნიეროდ, ასეთები იქნებიან.

\*\*\*

Les Arméniens occupent, au sud de la Géorgie et de la province dite de la Caspienne, tout le pays qui s'étend jusqu'à l'Araxe et aux monts Ararat. Détachés de bonne heure de ce grand royaume d'Arménie qui a fini avant la monarchie géorgienne sous les attaques des Turcs, des Persans, et par ses propres divisions, les Arméniens de la Transcaucasie se félicitent de leur annexion à la Russie qui, depuis 1828, leur vaut une paix et une sécurité dont ils n'avaient pas joui jusque-là, et qu'ils apprécient plus qu'aucun autre peuple, voués qu'ils sont presque tous au commerce et à tous les genres de trafic. Par leur amour du gain, leur habileté à le chercher dans des moyens tout juste permis, par leur avarice et leur aspect sordide, ils sont (je ne parle qu'en général) les juifs de l'Orient ou représentent du moins ce qu'étaient ceux-ci au moyen-âge. L'Arménien n'est pas soldat comme le Géorgien; il est né pour les opérations commerciales, et quoi que je vienne de dire de son goût immodéré pour le profit, il jouit cependant d'une réputation justifiée de probité. Dans les grandes comme dans les petites affaires, sa parole vaut un contrat. Les unes et les autres sont de son ressort. Il n'en trouve aucune de trop minime ou de trop considérable pour lui. Chez cette nation comme chez tous les peuples exclusivement adonnés au négoce, la hiérarchie des opérations et des situations commerciales marque celle des conditions. La société arménienne est, en effet, divisée presque en autant de classes que de professions, depuis le plus petit boutiquier et le simple colporteur, pour arriver, en passant par le grand détaillant, le marchand en gros et le banquier, au sommet de l'échelle, occupé par les puissants spéculateurs qui font marcher les caravanes et chargent des navires sur la mer Caspienne ou la mer Noire. On en cite, parmi ces derniers, qui possèdent d'énormes fortunes. Doux, souples, insinuants, les Arméniens ont le talent de se faire accepter par les populations musulmanes les plus fanatiques, qui les tolèrent et les traitent parfois avec faveur à cause des avantages qu'elles trouvent dans leurs rapports commerciaux avec eux. Et les Arméniens, de leur côté, afin de pouvoir trafiquer en sûreté, sans exciter la convoitise, et pour se mettre à l'abri des extorsions, ont grand soin de dissimuler les richesses qu'ils peuvent avoir amassées; de là, probablement, l'aspect misérable sous lequel ils aiment à se montrer. (420-421)

---

<sup>15</sup> ლიკლამა ა ნეეოლტი, როგორც ჩანს, სვეტიცხოველში ნანახ იმ ფრესკას გულისხმობდა, რომელზეც დედოფალი მარიამია გამოსახული თავის მცირეწლოვან ვაჟთან, ოტიასთან, ერთად.

საქართველოს სამხრეთით და კასპიის სახელით ცნობილ პროვინციაში სომხებს უჭირავთ მთელი ქვეყანა, რომელიც არარატის მთებამდე და არაქსამდე ვრცელდება. ადრევე მოწყვეტილები თავიანთ დიდ სომხურ სამეფოს, რაც საქართველოს მონარქიის დასრულებამდე, მათივე დანაწევრების, თურქებისა და სპარსელების შედეგად მოხდა, ამიერკავკასიელი სომხები სიხარულით შეხვდნენ თავიანთ ანექსირებას რუსეთის მიერ, რამაც 1828 წლიდან მათ მშვიდობა და უსაფრთხოება მოუტანა, რითაც სარგებლობენ და რასაც სხვა ხალხზე მეტად აფასებენ; ისინი, თითქმის ყველანი, ვაჭრობას მისდევენ და ყველა სახის გადაზიდვით არიან დაკავებულნი. მოგების მიმართ სიყვარულით, ყველა შესაძლებელი საშუალებით მისი მიღწევის თავიანთი უნარით, თავიანთი სიხარბითა და საზიზღარი შესახედაობით, ისინი არიან (მე მხოლოდ ზოგადად ვსაუბრობ – L. a N.) აღმოსავლეთის ებრაელები ან სულ მცირე, წარმოგვიდგენენ, თუ როგორები იყვნენ ისინი შუა საუკუნეებში. ქართველის მსგავსად, სომეხი არ არის ჯარისკაცი; ის სავაჭრო ოპერაციებისათვის არის დაბადებული და რაც არ უნდა ვთქვა მოგების მიმართ მისი სიყვარულის შესახებ, მას პატიოსანი კაცის დამსახურებული რეპუტაცია აქვს. როგორც დიდ, ისე მცირე საქმეებში მისი სიტყვა შეთანხმების ტოლფასია და ორივეზე პასუხს აგებს. მისთვის არც ერთია ძალიან დიდი ან მეორე პატარა. ამ ერში, ისევე როგორც ყველა ხალხში, რომელიც მხოლოდ ვაჭრობით არის დაკავებული, ოპერაციების და სავაჭრო სიტუაციების იერარქია შეესაბამება პირობების იერარქიას. სომხური საზოგადოება თითქმის იმდენ კლასად იყოფა, რამდენიც პროფესიაა – დაწყებული ყველაზე უბრალო მედუქნიდან და მეწვრილმანე ვაჭრიდან მსხვილ საცალო და ბითუმად მოვაჭრემდე და ბანკირამდე, სადაც კიბის უმაღლესი საფეხური ძლიერ სპეკულანტებს უჭირავთ, რომლებიც აგზავნიან ქარავნებს და კასპიისა და შავ ზღვებზე გემებს ტვირთავენ; ამ უკანასკნელთა შორის უზარმაზარი ქონების მფლობელნიც არიან. წყნარ, მოქნილ და შემპარავ სომხებს იმის ნიჭიც აქვთ, რომ ყველაზე უფრო ფანატიკურმა მოსახლეობამაც კი მიიღოს, რომელიც ითმენს მათ და მათთან ვაჭრობით მიღებული მოგების გამო, მათ კეთილგანწყობითაც კი ეპყრობა. თავის მხრივ, სომხები, იმის გამო, რომ უსაფრთხოდ შეძლონ ვაჭრობა, არ აღძრან შური და თავიც დაიცვან გამომალვისგან, დიდ სიფრთხილეს იჩენენ თავიანთი ქონების დასაფარად; მათ ალბათ ამიტომ აქვთ ის საცოდავი იერი, როგორითაც საკუთრი თავის წარმოჩენა უყვართ.

\*\*\*

Mais ceci n'est surtout vrai que pour ceux qui commercent ou résident en pays mahométan. Il n'en est pas de même à Tiflis, où il existe plusieurs familles vivant grandement. On y voit de beaux hôtels, comme la demeure ou le *khan* construit par un officier supérieur d'origine arménienne, le colonel Arzrouni, et même un vrai palais qu'un autre Arménien, *golova* ou maire des marchands de Tiflis, du nom de Archaghouni, a fait élever en plein boulevard Galavinsky, et qui, à coup sûr, rivalise de luxe, s'il ne lui est pas supérieur, avec la résidence même du vice-roi. A l'extérieur c'est l'Europe, sans doute par une concession faite à la ville russe ; mais c'est l'Asie à l'intérieur. Il y a là une cinquantaine de pièces de diverse grandeur, où toutes les recherches de l'Orient semblent réunies. Salles de réception, salle de concert, petits salons, chambres à coucher, cabinets, salle de bains, tout y a été décoré dans ce goût de la Perse qui prodigue les peintures, les dorures, les draperies, les tapis, et garnit encore les murs et les plafonds de milliers de petits miroirs à facettes plutôt que de laisser une place vide. Cette décoration est l'œuvre d'artistes persans et turcs, qui parcourent les provinces du Caucase, offrant leurs services, qu'ils ne font vraiment pas payer trop cher, car on assure que la splendide demeure du *golova* Archaghouni ne lui a coûté qu'un million et demi, ce qui paraît un prix très-modéré

pour un palais qui, en Europe, aurait coûté au moins le double. Ce nabab de la Géorgie a fait sa fortune, que l'on dit immense, dans les pêcheries des bouches du Kour, et c'est à la vente du *schahmaia*, autrement dit *roi des poissons*, qui est le hareng de ces contrées, qu'il a acquis les moyens de se passer de ces fantaisies princières. (421-422)

ეს განსაკუთრებით იმათ ეხებათ, ვინც მუსლიმურ ქვეყანაში ცხოვრობს ან ვაჭრობს. სხვაგვარად არის თბილისში, სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს ფუფუნებით. აქ ვხედავთ ლამაზ სახლებს, ისეთს, როგორც არის სომეხი ეროვნების მაღალი რანგის ოფიცრის, პოლკოვნიკ არწრუნის მიერ აშენებული სასახლე თუ ქარვასლა და ჭემმარტ სასახლესაც კი, რომელიც გოლოვინსკის ბუღვარის შუაგულში მეორე სომეხმა, თბილისის ვაჭრების თავმა, გვარად არშაკუნიმ, ააგებინა და რომელიც თავისი ფუფუნებით ნამდვილად ეჯიბრება, თუ არ აღემატება კიდევ, თვით მეფისნაცვლის რეზიდენციას. მისი ექსტერიერი ევროპულია და როგორც ჩანს, ეს დათმობაა რუსული ქალაქისთვის, მაგრამ ინტერიერში აზიაა. აქ ორმოცდაათამდე სხვადასხვა ზომის ოთახია, სადაც თავმოყრილია აღმოსავლეთის მთელი დახვეწილობა. მისაღები დარბაზები, საკონცერტო დარბაზი, პატარა სალონები, საწოლი ოთახები, კაბინეტები, სააბაზანო ოთახები, სპარსული გემოვნების მიხედვით ყველაფერი უხვადაა მორთული სურათებით, ვარაყით, ფარდაგებით, ხალიჩებით, კედლები კი იმდენად არის დამშვენებული სარკის ათასობით ფასეტით, რომ თავისუფალი ადგილი არ ჩანს. ეს დეკორაცია სპარსელი და თურქი ხელოსნების ნამუშევარია, რომლებიც კავკასიის პროვინციებში დაეხეტებიან და თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ, რაც მართლაც არ არის ძალიან ძვირი, რადგან როგორც ირწმუნებიან, გოლოვა არშაკუნის ბრწყინვალე საცხოვრებელი მილიონ ნახევარი დაუჯდა, რაც ძალიან ზომიერი თანხაა ისეთი სასახლისათვის, როგორც ევროპაში ორჯერ მეტი მაინც ეღირებოდა. საქართველოში მცხოვრებმა ამ ნაბობმა<sup>16</sup> თავისი ქონება, რომელზეც ამბობენ რომ უზარმაზარია, მტკვრის შესართავში თევზჭერით, შამაიას ანუ აქაური თევზების მეფის, ქაშაყის, ვაჭრობით მოიპოვა მეფური ახირების ასრულების შესაძლებლობა<sup>17</sup>.

\*\*\*

Les Musulmans habitent surtout, au sud-est du Caucase, la partie qui s'étend jusqu'à la Perse et à la mer Caspienne, et qui a reçu pour cela, dans la division administrative du pays opérée par le gouvernement russe, le nom de Province de la Caspienne, comprenant ces khanats longtemps indépendants du Chirvan, du Karabagh, de Kouba et de Chéki, dont j'avais traversé une partie en voyageant de Bakou à Tiflis. Ces Mahométans, venus de la Perse et de la Turquie, sont restés en possession des terres qu'ils avaient conquises. Ils ont des relations fréquentes avec la capitale de la Géorgie, où on les reconnaît à certains traits particuliers. Ils y rencontrent les descendants de ceux qui, sous la domination tatare, turque et persane, s'y sont établis mais n'y ont point progressé. Au contraire, leur nombre a diminué, et leur importance est à peu près nulle. Je renvoie naturellement à la relation de mon voyage en Perse ce qui concerne la religion et les mœurs mahométanes, qui sont exclusivement celles de la nation persane. Une variété très-curieuse de Musulmans que l'on voit dans la capitale de la Géorgie, mais qui n'y résident point, ce sont les Kurdes (424).

<sup>16</sup> ნაბობი – ინდოეთის იმ პროვინციების მმართველთა ტიტული, რომლებიც ჩამოსცილდნენ დიდი მოგოლების იმპერიას; XVIII საუკუნეში ირონიულად ასე უწოდებდნენ ოსტინდოეთის კომპანიის უმაღლეს მოხელეებს, რომლებიც ინგლისში გამდიდრებულები ბრუნდებოდნენ.

<sup>17</sup> ეს ცნობა არის ფლორიან ჟილის თხზულებაში.

მუსლიმები ძირითადად კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, იმ ნაწილში ცხოვრობენ, რომელიც სპარსეთამდე და კასპიის ზღვამდე ვრცელდება და ამიტომ, რუსეთის მთავრობის მიერ ჩატარებული ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის დროს მას კასპიისპირა პროვინცია ეწოდა; ის მოიცავს დიდი ხნის განმავლობაში დამოუკიდებელი შირვანის, ყარაბაღის, კუბისა და შექის სახანოებს, რომელთა ნაწილი ბაქოდან თბილისში მგზავრობის დროს გავიარე. სპარსეთიდან და თურქეთიდან მოსული ეს მუსლიმები დარჩნენ თავიანთ მიერ დაპყრობილ ამ მიწებზე. მათ ხშირი ურთიერთობა აქვთ საქართველოს დედაქალაქთან, სადაც მათ ზოგიერთი თავისებური ნიშნების მიხედვით შეიცნობ. ისინი იქ თათრების, თურქებისა და სპარსელების ბატონობის დროს დაფუძნებულთა შთამომავლებს ხვდებიან, მაგრამ პროგრესი არ განუცდიათ. პირიქით, მათი რიცხვი შემცირდა და არც მნიშვნელობა აქვთ. იმ მუსლიმური რელიგიისა და წეს-ჩვეულებების შესახებ, რომლებსაც მხოლოდ სპარსელი ხალხი მისდევს, ბუნებრივია სპარსეთში ჩემი მოგზაურობის რელაციისთვის დავიტოვებ. მუსლიმების მეტად განსხვავებული ნაწილი, რომელსაც საქართველოს დედაქალაქში ხედავ, მაგრამ რომლებიც იქ არ ცხოვრობენ, ქურთები არიან.

\*\*\*

Les diverses peuplades du Caucase se font aussi, de temps à autre, représenter à Tiflis. Ce sont les Nogais, Tatars d'origine, qui viennent des bords du Kouban; les Kabardiens, que le lecteur connaît déjà; les Ossètes, qui habitent les parties les plus centrales de la chaîne, qu'on dit descendre des anciens Alains ou Asses, peuples du Nord, et que d'autres, au contraire, disent Hindous-persiques; les Khvessours, leurs voisins, couverts encore de leurs cottes de mailles, comme des guerriers du moyenâge; les Lesghiens, qui se vantent d'être issus de l'un des enfants de ce patriarche Thargamus dont il a été question à propos de l'origine géorgienne, race sans doute (427) indigène, mélangée avec les peuples refoulés dans les parties élevées du Daghestan, et divisée en plusieurs plus ou moins grandes peuplades, entre autres les Tchetchenses, cette nation disciplinée par Schamil. (428)

დროდადრო თბილისში კავკასიის სხვადასხვა ხალხებიც ჩნდებიან. ესენი არიან ნოღაელები<sup>18</sup>, წარმოშობით თათრები, რომლებიც ყუბანის ნაპირებიდან მოდიან; ადრე ნახსენები ყაზარდოელები, ოსები, რომლებიც ქედის ყველაზე ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობენ და რომლებზეც ამბობენ, რომ ძველი ალანების თუ ჩრდილოეთის ხალხის, ასების (Asses,) შთამომავლები არიან, სხვები კი მათ პირიქით, ინდო-სპარსელებად მიიჩნევენ; ხევსურები, მათი მეზობლები, რომლებსაც შუა საუკუნეების მეზობლების მსგავსად კვლავ ჯაჭვის პერანგი აცვიათ; ლეკები, რომლებიც ტრახხობენ, რომ იმ პატრიარქი თარგამოსის, – რომლის ქართული წარმოშობა აღინიშნა, – ერთ-ერთი შვილის შთამომავლები არიან, უდავოდ მკვიდრი მოსახლეობაა, რომელიც შეერია დაღესტნის მთებში მცხოვრებ ხალხს და დაიყო რამდენიმე მეტ-ნაკლებად დიდ ტომად, მათ შორის შამილის მიერ დისციპლინირებულ ჩეჩნებად.

\*\*\*

On rencontre encore à Tiflis quelques Circassiens, Tcherkesses ou Adhigués, car tous n'ont pas émigré. Le type tcherkesse est, parmi tous ces peuples montagnards, incontestablement le plus remarquable par la correction des traits, la finesse de la taille et l'élégance des extrémités. Le Circassien

<sup>18</sup> ნოღაელები – სხვადასხვა თურქულენოვანი და მონღოლურენოვანი ტომების შთამომავლები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ნოღაის ურდო. ცხოვრობს ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლის მხარეში, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ასევე ასტრახანის ოლქში.

porte fièrement son costume national, son caftan, souvent en lambeaux, mais relevé par la beauté des armes. C'est même une recherche d'être ainsi plus que modestement vêtu, et de montrer un fusil où brille l'argent et l'or, un poignard magnifique et des pistolets couverts de riches ciselures. Ceux qui ont été incorporés dans les troupes russes ont peine à échanger leur légère chaussure en maroquin sans semelle avec la botte européenne. Les Tcherkesses vivent à cheval; c'est ce que dit ce système de chaussure et la petitesse de leur pied. Quant à la religion, ils les ont toutes et n'en ont aucune; celle qu'ils suivent sans grande ferveur n'est qu'un bizarre mélange d'islamisme, d'idolâtrie et de réminiscences chrétiennes. (428)

ამას გარდა, თბილისში შეხვედები ჩერქეზებს ანუ ადიღელებს, რადგან ემიგრაციაში ყველა არ წასულა. ამ მთიელ ტომებს შორის ჩერქეზები უდავოდ გამოირჩევიან სწორი ნაკვთებით, წვრილი წელითა და მოხდენილი კიდურებით; ისინი ამაყად ატარებენ თავიანთ ნაციონალურ სამოსს, ქურთუკს, რომელიც ხშირად დაკონკილია, მაგრამ დამშვენებულია ლამაზი იარაღით. ეს არის ერთგვარი დახვეწილობა, იყო მოკრძალებულად ჩაცმული და დაანახვო ოქრო-ვერცხლით მზრწყინავი თოფი, შესანიშნავი სატევარი და მდიდრულად მოჭედილი პისტოლეტი. იმას, ვინც რუსეთის ჯარში შევიდა, გაუჭირდა თავისი მსუბუქი, ულანჩო ტარსიკონის ფეხსაცმლის ევროპული ჩექმით შეცვლა. ჩერქეზები ცხენზე ცხოვრობენ; ამაზე მიუთითებს მათი ფეხსაცმელი და პატარა ფეხი. რაც შეეხება რელიგიას, მათ აქვთ ყველა და ამავე დროს არც ერთი; ის, რომელსაც დიდი თავგამოდების გარეშე მისდევენ, მხოლოდ და მხოლოდ ისლამის, კერპთაყვანისმცემლობისა და ქრისტიანული რემინისცენციის უცნაური ნაზავია.

\*\*\*

Par ce qui précède, on doit juger de l'infinie variété de races, de types, de costumes dont les rues de Tiflis offrent le curieux spectacle. C'est surtout au principal Bazar, au Maïdan, dans les heures de grande affluence, qu'on peut se faire une idée de cette population si originalement mêlée. Une description même très-abrégée me mènerait trop loin; au reste, ces détails se trouvent dans beaucoup de voyageurs qui m'ont précédé, et je ne pourrais (428) que les copier. Une chose, cependant, semble donner à ces différents peuples un cachet commun qui indique une certaine uniformité locale dans leur diversité d'origine, c'est la coiffure. Pour tous, elle se compose d'un bonnet noir en fourrure de mouton plus ou moins fine et que l'on nomme la *papakha*. Chez les Géorgiens et les Arméniens cette coiffure affecte invariablement la forme d'un pain de sucre, tandis que chez les montagnards c'est souvent un cône tronqué, qui lui donne l'apparence d'une haute casquette ou d'un turban. (429)

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება იმსჯელო თბილისის ქუჩებში თავმოყრილი რასების, ტიპებისა და კოსტიუმების ნაირსახეობის შესახებ. ხოლო ამ ასე ორიგინალურად შერეულ მოსახლეობაზე გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა პიკის საათებში მთავარ ბაზარში, *მაიდანშია*, შესაძლებელი. მათი მეტად მოკლე აღწერაც კი შორს წამიყვანს; ამას გარდა, ეს დეტალები უხვადაა აღწერილი მოგზაურთა მიერ და მხოლოდ მათი გამეორება შემიძლია. თუმცა, არის ერთი რამ, რაც აერთიანებს ამ განსხვავებულ ხალხს, რაც მათი წარმოშობის მრავალფეროვნებაში გარკვეულ ადგილობრივ ერთგვაროვნებაზე მიუთითებს, მათი თავის მორთულობაა. ეს არის კრაველის მეტ-ნაკლებად ნაზი ბეწვის შავი ქუდი, რომელსაც ფაფახი ეწოდება. ქართველებისა და სომხების ქუდი შაქრის თავს ჰგავს, მთიელებისას ხშირად წაკვეთილი კონუსის ფორმა აქვს, რაც მას მაღალ ქუდს ან ჩალმას ამსგავსებს.

\*\*\*

Les Géorgiens sont grands amateurs de fêtes. L'une des principales a lieu le 6 janvier, jour de l'Épiphanie. Elle est marquée par une coutume fort singulière, fondée sur un bizarre croyance. Les Géorgiens prétendent que ce jour-là on peut, sans inconvénient et sans risque de maladie, se baigner dans l'eau du Kour, au milieu des glaçons qu'il charrie et amène des montagnes. Curieux de vérifier ce fait, je me rendis, à l'heure qui m'avait été indiquée, sur les hauteurs de la rive gauche et, de là, je vis, en effet, un grand nombre d'hommes arrivant, par la rive opposée, aux endroits où elle est de niveau avec le cours du fleuve. Ils se déshabillaient et se jetaient résolument à la nage; puis, après quelques minutes de ce bain glacé, ils reprenaient leurs vêtements sans en paraître incommodés le moins du monde. Il est vrai qu'ils s'agitaient fort et se mettaient à marcher rapidement, et leur bain, alors, devait leur produire l'effet d'un bain russe. (429)

ქართველებს ძლიერ უყვართ დღესასწაულები. ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ნათლისღების დღე, 6 იანვარია. ის გამოირჩევა ძალიან თავისებური ჩვეულებით, რომელიც უცნაურ რწმენაზეა დაფუძნებული. ქართველები ირწმუნებიან, რომ ამ დღეს ყოველგვარი უსიამოვნებისა და ავად გახდომის რისკის გარეშე შეუძლიათ მთიდან მოტანილ ყინულიან მტკვარში ბანაობა. ცნობისმოყვარეობის გამო, ამ ფაქტის შესამოწმებლად, დანიშნულ დროს მარცხენა შემადლებულ ნაპირთან მივედი; იქიდან დავინახე, რომ მოპირდაპირე ნაპირზე, სადაც დინება მიწის დონეზეა, უამრავი კაცი მოსულიყო. მათ გაიხადეს და წყალში გაბედულად, ცურვით გადაეშენენ; ამ ყინულოვანი აბაზანის მიღებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ისე ჩაიცვეს ტანსაცმელი, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ის კი სიმართლეა, რომ ისინი ენერგიულად ამოძრავდნენ, სწრაფად დადიოდნენ და ამგვარად, მათ აბაზანას მათზე რუსული აბანოს ეფექტი უნდა ჰქონოდა.

\*\*\*

La fête de sainte Nina donne surtout une grande animation aux rues de Tiflis. Beaucoup de dames russes et surtout un nombre infini de Géorgiennes des meilleures familles portent le nom de cette patronne de la Géorgie (429); aussi, le jour de la Sainte-Nina, voit-on les voitures se croisant, allant et venant avec rapidité pour permettre aux hommes de suffire à l'obligation de souhaiter leur fête à toutes les Nina de leur connaissance. (430)

წმინდა ნინოს დღესასწაულზე თბილისის ქუჩებში განსაკუთრებული გამოცოცხლებაა. ბევრ რუსს, განსაკუთრებით კი უწარჩინებულესი ოჯახის უამრავ ქართველ ქალბატონს საქართველოს ამ მფარველის სახელი ჰქვია; ამ დღეს ეტლები დიდი სისწრაფით დაქრიან, რათა მამაკაცებმა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და ყველა ნაცნობ ნინოს აუცილებლად მიულოცონ სახელობის დღე.

\*\*\*

Mais la cérémonie la plus intéressante est celle qui a lieu, chaque année, à l'église de Bethléem (Petghain) que j'ai citée et qui appartient aux Arméniens du rite grégorien. Rien n'est curieux comme de voir la longue procession des femmes voilées qui s'y rendent en gravissant lentement la montagne sur laquelle l'église est située. Cela a quelque chose de mystérieux et de poétique comme une marche d'ombres; le long *tchadre* blanc qui les enveloppe entièrement leur couvre aussi la figure, mais deux magnifiques yeux noirs, qui brillent à travers une ouverture, font bien reconnaître que l'on n'a point affaire à des fantômes. (430)

მაგრამ ყველაზე საინტერესო ცერემონია ის არის, რომელიც ყოველ წელს ჩემ მიერ უკვე ნახსენებ ბეთლემის<sup>19</sup> ეკლესიაში ტარდება და რომელიც გრიგორიანულ სომხებს ეკუთვნით. არაფერია ისე თავისებური, როგორც ვუაღოთ შებურული ქალების გრძელი პროცესია, რომლებიც ნელა ადიან იმ მთაზე, სადაც ეკლესია დგას. ამაში არის რაღაც იდუმალი და პოეტური, თითქოს ჩრდილების მსვლელობაა; გრძელი თეთრი ჩადრი მათ მთლიანად ფარავს, მაგრამ შესანიშნავი შავი თვალები, რომლებიც ნახვრეტებიდან ბრწყინავენ, კარგად გაჩვენებენ, რომ ისინი ნამდვილად არ არიან მოჩვენებები.

\*\*\*

La dévotion extérieure des femmes dépasse ici ce qu'on voit même en Espagne et en Italie. Géorgiennes et Arméniennes divisent leur vie en trois parts: l'une, la plus grande, se passe à l'église, la seconde au bain, et la troisième, bien écourtée, on le voit, est consacrée aux soins de leur intérieur. Les hommes ne font pas preuve d'un zèle religieux aussi ardent, sauf les Arméniens, cependant, qui suivent leur culte avec une régularité qu'on ne retrouve pas, à beaucoup près, chez les Géorgiens propres. Le jeûne se pratique chez eux de la manière la plus rigoureuse; ils semblent ne faire consister la religion que dans l'abstinence. Pendant toute la durée du carême, ils ne se nourrissent que d'herbes, de racines et de légumes, et sur ce sujet ils ne sollicitent point de dispenses, qui ne sont d'ailleurs accordées à personne (430). Ce régime est pour eux une mortification d'autant plus méritoire, que les Arméniens sont par nature grands mangeurs et qu'on les dit même gourmands. On ajoute, car je dois tout dire, que pendant le temps saint ils poussent l'abstinence jusque dans leurs rapports conjugaux; je me contente de relater cette particularité, n'ayant, on le pense bien, reçu aucune confidence à cet égard. (431)

ქალების გარეგნული ღვთისმოსაობა აქ იმასაც კი აჭარბებს, რაც ესპანეთსა და იტალიაში მინახავს. ქართველი და სომეხი ქალები თავიანთ ცხოვრებას სამ ნაწილად ყოფენ: პირველ, უფრო დიდ ნაწილს, ეკლესიაში ატარებენ, მეორეს – აბანოში, მესამეს კი, უფრო მცირეს, როგორც ვხედავთ, ოჯახის მოვლას უძღვნიან. მამაკაცები, გარდა სომხებისა, არ ავლენენ ასეთ მხურვალე რელიგიურ თავგამოდებას; ქართველებისგან განსხვავებით, ისინი რეგულარულად ასრულებენ წესებს და მეტად მკაცრად იცავენ მარხვას, ჰგონიათ რა, რომ რელიგია მხოლოდ ამ თავშეკავებაშია. დიდმარხვის განმავლობაში მხოლოდ ბალახეულით, ფესვებითა და ბოსტნეულით იკვებებიან და ამის გამო არ ითხოვენ შეღავათს, რომელიც არავის ეძლევა. ეს დიეტა მათთვის მეტად დასაფასებელი თავშეკავებაა, რადგან სომხები თავიანთი ბუნებით გურმანები და შეიძლება ითქვას, ღორმუცელებიც კი არიან. იმასაც დავამატებ, რადგან ყველაფერი უნდა ვთქვა, რომ ამ წმინდა დროს ცოლ-ქმრულ ურთიერთობაშიც კი ითხოვენ თავშეკავებას; მე მხოლოდ ამ თავისებურების გადმოცემით ვიფარგლები, რადგან საკვებით გასაგებია, ამაში არავინ არ გამომტყდომია.

\*\*\*

Les Européens sont déjà nombreux au Caucase; les Russes, naturellement, forment la très-grande majorité. Le reste est fort mêlé, car on comprend que ce n'est pas pour vivre de ses rentes, mais au contraire pour en gagner, un peu par tous moyens, que l'on vient de fort loin s'établir ici. Cependant il

<sup>19</sup> ზემო ბეთლემის (თავდაპირველად ბეთლემი, შემდეგ ფეთხაინი) მაცხოვრის შობის ტაძარი (ბეთლემის აღმ. № 15) XVIII-XIX სს. სახით არის მოღწეული. ამ ადგილას ღვთისმშობლის ეკლესია თბილისელ სომხებს XV ს.-ში აუგიათ. XVIII ს.-ში ეკლესია საფუძვლიანად განაახლეს. ეკლესიის მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი შესაწირი 1740-იან წწ. გივი ამილახვარმაც გაიღო. ეკლესიას სომხები ფლობდნენ, თუმცა მას ქართველებიც წმინდა ადგილად თვლიდნენ და ამიტომ ქართული მრევლიც ჰყავდა (თ. კვიციანი, მეცლთბილისური დასახელებანი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1985, 19, 85-86).

y a de très-honorables exceptions à noter dans le nombre des Européens qui essayent de tenter la fortune à Tiflis; j'en ai cité quelques-unes; je dois y ajouter, ne pas le faire serait de l'ingratitude, M. Schmidt, pharmacien dans le quartier Salalak, qui a eu pour moi des bontés infinies. Autrefois, nous l'avons vu dans le chapitre précédent, il y avait en Géorgie des missions catholiques; aujourd'hui on n'y rencontre que quelques prêtres polonais et allemands qui laissent beaucoup à dire. La vie est incomparablement moins chère à Tiflis que dans les autres grandes villes de la Russie, notamment à Saint-Pétersbourg et à Moscou. C'est ce qui fait que beaucoup de fonctionnaires russes de tout grade demandent à y être envoyés, préférant son séjour à celui de ces deux capitales, où ils se ruinent en frais de représentation. Ils trônent au Caucase comme les Anglais dans l'Inde, mais avec plus de simplicité et une non moins grande habileté politique (431). La vie européenne, à Tiflis, a conservé son caractère propre, sauf quelques modifications imposées par le climat, les usages et les ressources du pays. Je la ferai connaître en racontant ma propre existence. (432)

კავკასიაში უკვე ბევრი ევროპელია; მათ უმრავლესობას, რა თქმა უნდა, რუსები ქმნიან. დანარჩენი მეტად შერეულია, რადგან ნათელია, რომ ასე შორიდან თავიანთი შემოსავლით საცხოვრებლად კი არ ჩამოსულან, არამედ ფულის საშოვნელად. მიუხედავად ამისა, ევროპელთა შორის არის მეტად ღირსეული გამონაკლისი, რომელიც თბილისში ცდის თავის ბედს; რამდენიმე მათგანი უკვე დავასახელებ და უმაღლური რომ არ გამოვჩნდე, აქვე უნდა ვახსენო ბატონი შმიტი, ფარმაცევტი სოლოლაკის უბანში, რომელმაც ჩემ მიმართ დიდი სიკეთე გამოიჩინა. წინათ საქართველოში იყო კათოლიკური მისიები; დღეს მხოლოდ რამდენიმე პოლონელ და გერმანელ მღვდელს თუ შეხვდები, რაც არ არის საკმარისი. თბილისში ცხოვრება შეუდარებლად იაფია, ვიდრე რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში, კერძოდ, სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში. ამიტომ არის, რომ ყველა დონის მრავალი მოხელე აქ ითხოვს გამოგზავნას და აქ არჩევს ცხოვრებას, ნაცვლად ამ ორი დედაქალაქისა, სადაც მათ წარმომადგენლობითი ხარჯები აკოტრებენ. რუსები ისევე ბატონობენ კავკასიაში, როგორც ინგლისელები ინდოეთში, მაგრამ მეტი თავმდაბლობითა და სახელმწიფოს მართვის არანაკლები ხელოვნებით. თბილისში ევროპულმა ცხოვრებამ თავისი ხასიათი შეინარჩუნა, მაგრამ იმ ზოგიერთი ცვლილებით, რაც ამ ქვეყნის ჰავის, ადამ-წესებისა და რესურსებითაა განპირობებული. მე ეს პირადი ყოველდღიური ცხოვრების მაგალითზე გავიგე.

\*\*\*

Ce fut à Tiflis que j'appris la langue persane, assez imparfaitement, mais suffisamment pour pouvoir entreprendre mon voyage en Perse. Je ne voulus pas avoir recours à un maître de profession. Mes domestiques, que j'avais choisis exprès parce que cette langue était la leur, me suffirent à cela. Je leur demandais le nom de chaque chose, et je les faisais répéter jusqu'à ce que j'eusse bien saisi la prononciation. Je m'attachais ensuite à la reproduire exactement moi-même. Après les mots vinrent les phrases, et au bout de trois mois je fus à même de comprendre tout ce qu'ils me disaient; en quittant Tiflis, j'en savais assez pour pouvoir prendre part à la conversation. Mais je n'ai pas besoin de dire qu'il n'est ici question que du persan vulgaire; quant au langage plus relevé et surtout à la langue littéraire de la Perse, d'un accès si difficile, on conçoit qu'il faille bien plus de temps pour y atteindre. (438)

სწორედ თბილისში შევისწავლე სპარსული ენა, საკმაოდ არასრულყოფილად, მაგრამ საკმარისად სპარსეთში სამოგზაუროდ. პროფესიონალი მასწავლებლის აყვანა არ მინდოდა. ჩემი მსახურები, რომლებიც საგანგებოდ ავირჩიე მათი ენის გამო, ამისთვის საკმარისი იყვნენ. მე მათ ყოველი ნივთის სახელს ვეკითხებოდი და მანამდე ვამეორებინებდი, ვიდრე სწორ გამოთქმას არ გავიგებდი, შემდეგ კი მათ ზუსტად გამეორებას თვითონ ვცდილობდი.

სიტყვებს მოჰყვა ფრაზები და სამი თვის შემდეგ მესმოდა ყველაფერი, რასაც მეუბნებოდნენ; თბილისიდან წასვლისას კი იმდენი ვიცოდი, რომ მონაწილეობა მიმელო საუბარში და არა მგონია საჭირო იყოს იმის თქმა, რომ სალაპარაკო ენას ვგულისხმობ; რაც შეეხება უფრო დახვეწილ მეტყველებას, განსაკუთრებით კი ლიტერატურულ ენას, ის რთულია და გასაგებია, რომ მის შესასწავლად გაცილებით მეტი დროა საჭირო.

\*\*\*

Je n'ai point encore parlé de la société russe, et je ne (445) veux certes point terminer ce chapitre sans dire ce que j'y ai rencontré de bon accueil, de ressources et d'agrément. Le monde russe, à Tiflis, est surtout ce que l'on appelle un monde officiel. C'est tout un gouvernement, composé d'un personnel très-nombreux, que la Russie entretient dans la capitale de son royaume caucasique. Je vais le résumer en quelques lignes. D'abord, le chef suprême, qui représente l'empereur; son titre exact est celui de « gouverneur général du Caucase, » mais, en me conformant à l'usage et à la réalité des choses, j'ai pu l'appeler le vice-roi, car, investi de toute l'affectueuse confiance de son frère, il commande avec une autorité presque souveraine, qui s'explique, en outre, par le grand éloignement où est placé le Caucase par rapport à la capitale de l'empire. Le grand-duc Michel est, de plus, commandant en chef de « l'armée du Caucase » qui, malgré la conquête définitive, est toujours considérable (plus de cent mille hommes) et maintenue comme sur le pied de guerre, sans doute pour des desseins ultérieurs que l'avenir révélera. Comme tel, il a sous lui quatre lieutenants généraux, dont un seul, qui commande avec le titre d'hetman ou ataman la division entièrement formée de Cosaques, ne réside point à Tiflis. Au grand-duc est *adjoint*, comme chef de toute l'administration civile, un conseiller intime et secrétaire d'État, qui est le premier personnage du pays après lui. Tout le Caucase a été divisé en six gouvernements civils; celui de Tiflis, qui est le premier, a donc, en outre de ce chef supérieur, un gouverneur civil particulier, pareillement avec le titre de conseiller intime. Vient ensuite un troisième haut fonctionnaire, du rang de conseiller d'État (446), qui, sous le nom de curateur, dirige *l'arrondissement scolaire* du Caucase: au point de vue de l'instruction publique et des sciences, la Russie a été ainsi partagée en dix circonscriptions scolaires seulement; c'est dire toute l'importance que son gouvernement attache au progrès des lumières dans les provinces caucasiennes. Maintenant, au-dessous de ces premiers dignitaires, fonctionne une véritable armée d'employés de tout rang, obéissant à des chefs qui dirigent en sous-ordre les diverses branches de l'administration. Il y a aussi tout un service du génie placé sous la direction d'un général de cette arme et qui compte un grand nombre d'ingénieurs et d'agents divers. On se figure facilement toutes les ressources qu'offre un semblable personnel pour la composition de ce qu'on appelle une société. A ces éléments fournis par l'administration civile, où l'on rencontre quelques hommes supérieurs et un grand nombre d'hommes distingués, il faut ajouter la masse des officiers, qui s'élève à près de trois mille cinq cents pour tout le Caucase et qui, à Tiflis, est au moins d'un millier. Presque tous parfaitement élevés, instruits, de relations faciles, ils sont, par le charme de leur bonne humeur, d'un grand secours et d'un grand agrément pour l'étranger qui réside à Tiflis. (447)

მე ჯერ არაფერი მითქვამს რუსული საზოგადოების შესახებ და ნამდვილად არ მსურს ამ თავის ისე დასრულება, რომ არ ვთქვა როგორი თბილი მიღება, შესაძლებლობები და სიამოვნება ვპოვე იქ. რუსული საზოგადოება თბილისში უპირველეს ყოვლისა ის არის, რასაც ჩვეულებრივ ოფიციალურ საზოგადოებას უწოდებენ. ეს არის მთელი მთავრობა, რომელიც შედგება ძალიან დიდი შტატისგან და რომელიც რუსეთს კავკასიის სამეფოს დედაქალაქში ჰყავს. ამას რამდენიმე სტრიქონით შევაჯამებ. პირველ რიგში, ეს არის უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც იმპერატორს წარმოადგენს; მისი ზუსტი წოდება არის „კავკასიის

გენერალ-გუბერნატორი“, მაგრამ დანიშნულების შესაბამისად და სინამდვილეში მე მას მეფისნაცვალს ვუწოდებდი, რადგან თავისი ძმის გულწრფელი ნდობით აღჭურვილი, ის თითქმის სუვერენულ ხელისუფლებას განახორციელებს, რაც იმპერიის დედაქალაქიდან კავკასიის დიდი დაცილებითაც აიხსნება. უფრო მეტიც, დიდი მთავარი მიხეილი მთავარსარდალია კავკასიის ჯარისა, რომელიც კავკასიის საბოლოო დაპყრობის მიუხედავად, კვლავ მრავალრიცხოვანია (100,000 კაცზე მეტი) და საომარ მზადყოფნაშია, უეჭველად სამომავლო გეგმების განსახორციელებლად, რასაც მომავალი გამოავლენს. ამგვარად, მეფისნაცვალს ექვემდებარება ოთხი გენერალ-ლეიტენანტი, რომელთაგან მხოლოდ ერთი არ ცხოვრობს თბილისში; ის მთლიანად კაზაკებისგან შემდგარი დივიზიას მეთაურია, რომელსაც ჰეტმანის ანუ ატამანის წოდება აქვს. დიდ მთავარს სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობაში თანაშემწედ ჰყავს საიდუმლო მრჩეველი და სახელმწიფოს მდივანი, რომელიც მის შემდეგ არის ამ ქვეყნის პირველი პირი. მთელი კავკასია დაყოფილ იქნა ექვს სამოქალაქო გუბერნიად; თბილისს, რომელიც პირველი გუბერნიაა<sup>20</sup>, ამ უმაღლესი მეთაურის გარდა, შესაბამისად, ჰყავს საგანგებო სამოქალაქო გუბერნატორი, რომელსაც აგრეთვე საიდუმლო მრჩეველის წოდება აქვს. შემდეგ მოდის სახელმწიფო მრჩეველის რანგის მქონე მესამე დიდმოხელე, რომელიც კურატორის სახელით ხელმძღვანელობს კავკასიის სასწავლო მიმართულებას: განათლებისა და მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით რუსეთი მხოლოდ ათ სასწავლო ოლქადაა დაყოფილი; ეს კი იმ მნიშვნელობაზე მიუთითებს, რომელსაც მთავრობა განათლების პროგრესს ანიჭებს კავკასიის პროვინციებში. ამ პირველი დიდმოხელეების შემდეგ მოდის ყველა რანგის მოხელეების ნამდვილი არმია; ისინი ემორჩილებიან თავიანთ უფროსებს, რომლებიც თავის მხრივ დაქვემდებარების მიხედვით ხელმძღვანელობენ ადმინისტრაციის სხვადასხვა შტოებს. ასევე არსებობს ჯარის საინჟინრო სამსახური, რომელიც ამ საქმის მცოდნე გენერლის დაქვემდებარებაშია და რომელშიც მრავალი ინჟინერი და სხვადასხვა აგენტი მსახურობს. ადვილი წარმოსადგენია ასეთი პერსონალით წარმოდგენილი მთელი რესურსი იმის შესაქმნელად, რასაც საზოგადოება ეწოდება. სამოქალაქო ადმინისტრაციაში ამ წევრების გარდა, სადაც შეხვდები რამდენიმე მაღალი რანგის პირს და მრავალ ღირსეულ ადამიანს, უნდა დავუმატოთ მთელ კავკასიაში მომსახურე ოფიცრები, დაახლოებით სამი ათასი ხუთასი კაცი, რომელთაგან დაახლოებით ათასი თბილისში მსახურობს. თითქმის ყველა ჩინებულად აღზრდილი, განათლებული და კარგი საურთიერთოა, თავიანთი მომხიბვლელი ხასიათით კი დიდი დახმარება და სიამოვნებაა თბილისში მყოფი უცხოელისთვის.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებია)

---

<sup>20</sup> კავკასიის ექვსი გუბერნია – ბაქო, ელიზავეტპოლი (ელისავეტპოლი), ქუთაისი, სტავროპოლი, ტფილისი, ერევანი.